სახალხო გაზეთი

№ 266 სამშაბათი, 29 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 266

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 3 მეტრით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი 3 მეტრით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ჩამკლავიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სოფრაბან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკიცის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წლის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ობები. პირადად მოლაპარაკება მეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებითათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ნიკიფორე დავითის ძე ერკომაიშვილი შვილებით **და მარიამ** და **ერმალოზ თაყაიშვილები**, პირველი—მეუღლე და დანარჩენნი შობლები, გულმწუხარენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

ნინა ერმალოზის ასულის ერკომაიშვილისას.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 31 მარტს, ქ. სოხუმში. (1—1181—1)

იოსებ როსტომის ძე ლეუავა, მიხეილ ბესარიონის ძე, ბაბო ალექსის ასული, თამარა და **სონია ნადარეიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის

ნინო (ჰელაგო) ქრისტესიას ასულის

გარდაცვალებას. პირველისა—ძალუასა, დანარჩენთა—მამიდაშვილისა. **გამოსვენება სამშაბათს, 29 მარტს,** დილის 9 საათზე, თავის საკუთარ სახლიდან, მიხაილოვის ქუჩა № 26, სამების ეკლესიაში. (1—534—1)

ტფილისის მოქალაქე **გიორგი სოლომონის ძე აბულაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის მეუღლის

ნინო (ჰელაგო) ქრისტესიას ასულის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს დილის 9 საათზე, სამების ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ დღეს, საბურთალოს ეკლესიაში. (2—530—2)

სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 მარტს, სახალხო ეუსიკალური საზოგადოება თავის ლოტბარის **პ. ბ. ფალიაშვილის სიბენეფისოდ** სდგამს ოპერა

„პარმენს“

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვესელოვსკოროვისა, მინკევიჩი. ბ-ნნი: აგასოვი, კავალენსკი, ბროდეი და სხვ. ბილეთების ფასი 5—80 კ. **დასაწყისი საღ. 8 ს.**
ლოტბარი **პ. ბ. ფალიაშვილი**, ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.** (3—1170—3)

ტფილისის ხოტრაცით გამყიდველთა
და ძეხვის მაკეთებელთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების
◀ გამგეობა ▶

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზე 29 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე საზოგადოების გამგეობის კანტორაში.
(1—537—1) გამგეობის თავმჯდომარე **გ. ჯავახოვი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითა'ი რ. ხ.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ხ.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

წამლება „606“-ით

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. **საფასურით.** (წ.—1069—429)

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა პირველი წიგნი:
„ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ“.

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა“-ს („Новая Рѣчь“) წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. **ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—1)

ფეხსაცმელის ქარხნის მაღაზია
ა. ნ. ფარსადანოვისა და ამხ.
საბოლოო ლიკვიდაციის

მოსახდენად საქონლის გადარჩევის შემდეგ გაიხსნა. მთელი საქონელი

საოცარ იაფ-ფასებში გაიყიდება,

ყველას ფასი ზედ ეწერება; **სახოგადოებას** ვურჩევთ პირადად დარწმუნდეს, ხელსაყრელ და სახეირო შემთხვევით ისარგებლოს მომავალ დღესასწაულებისათვის. იყიდება აგრეედვე ქარხნისა და მაღაზიის მთელი ქონება (ინვენტარი). (1—1180—1)

ტფ. სახალხო თეატრი
სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება
საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად 1 აპრილს ᲮᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ
ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲡ.

საკონცერტო განყოფილებაში მოსაწილეობას მიიღებენ: მისხ კოლმერი, ქ-ნნი: მჩერბაჩევისა, საპინგუსი და ბ-ნი ნ. დ. ნიკოლაევი. ოპერაში («Риголетто» 2 ᲐᲥᲢᲘ 4 მოქმ. და „ხოფლის პატიოსნება“, ხრუელად) მოსაწილეობენ: ქ-ნნი ვესელოვსკოროვისა, მინკევიჩისა, ნიკოლაევისა, ბლაკენსკისა, იხტომანოვისა. ბ-ნნი: კოვალენსკი, ბრდეი, მიპუეი და თეატრის ხოტრ და ორკესტრი გადიდებულის შემადგენლობით ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ბილეთები არავის დაგზავნება. ვინც ადნიშნულ სადამოს დასიშნულებას თანაუგრძნობს, ვთხოვთ ბილეთები **სახაზინო** თეატრის კასაში მეიძინოს თავის დროზე უწყებულ საათებში. (3—1177—1)

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲭᲘᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡᲐ
Ხ. ᲮᲠᲘᲡᲢᲝᲓᲣᲚᲘᲓᲘᲡᲘ

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ᲑᲘ, ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲮ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჯიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—17)

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას**, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საკენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—12)

Ძ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ქირურგიული და დედათა სნეულების
ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
სსშშობიარო განყოფილებით **ექიმის**
ᲘᲕ. ᲑᲝᲚᲙᲔᲠᲘᲐᲡᲘ

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—72)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმეფოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 595.
ე. ხ. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დახსამაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ ა. ბობოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ვ. ხ. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. ვ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მოსიაგებით
წამლება „606“-ით.
(წ.—1090—25)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**
ᲚᲘᲛᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გამინჯვა და გადაღება რენტგენის ხმოვანებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—82)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**
Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
იკურნებ ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიკარაძისა. (თ.—188—31

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ**
იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. კოგლიანის და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—245

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გამინჯვა და გადაღება რენტგენის ხმოვანებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—82)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ**
Ა. Ნ. ᲤᲐᲠᲡᲐᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ **ᲓᲐ ᲐᲛᲮ.**
ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ
მოსახდენად საქონლის გადარჩევის შემდეგ გაიხსნა. მთელი საქონელი
საოცარ იაფ-ფასებში გაიყიდება,
ყველას ფასი ზედ ეწერება; **სახოგადოებას** ვურჩევთ პირადად დარწმუნდეს, ხელსაყრელ და სახეირო შემთხვევით ისარგებლოს მომავალ დღესასწაულებისათვის. იყიდება აგრეედვე ქარხნისა და მაღაზიის მთელი ქონება (ინვენტარი). (1—1180—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამზედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს, ბაღის მაზლოვლად, ტელეფონი N 183.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ი. მ. ახპიახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
დ. ბრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.
მანსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 11/2—3 საათ.
ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
უკლანდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.
ხულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებია: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.
რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
ვესელოვსკოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმანი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
დ. ბ. მხეტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.
ყალამჭაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშვიპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის ტესტით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—5.—72)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ა. ნ. ᲓᲘᲐᲚᲐᲡᲐᲫᲔ**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. ხალამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ბაბაშვილისა. (ფ)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ,**
Ს. Ი. ᲕᲝᲚᲝᲮᲘ
ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ N 33.
სახლვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას **606** ბრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და **საყმაწვილოსი** სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი ბრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე მგზავნებათ საგანგებო მეხსიერებებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრეოვეტები სისხლის გამოკვლევანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—32)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ**
თ. ᲢᲣᲤᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს მინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, საარდე და სასქესო აგზებულობათა სიფილისის და ქანის სნეულებიან ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ციერალოვის სახლი,** (50—15—6

ᲥᲘᲠᲘᲐᲠᲘ **ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ**
„ᲐᲚᲘᲝᲜᲘ“
ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ
დროებით გადავიდა მეორე თუმანოვის ქ. № 32. (1—535—1)

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“
რედაქციისაგან.

მეთერთმეტე ნომრის შემდეგ იძულებული ვიყავით ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ შეგვეჩერებინა. დღე-დღე ვცდილობდით განახლებას. ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ მოვახერხეთ. იმედს მაინც არა ვკარგავთ. თუ 1 სექტემბრამდე ჩვენმა ცდამ უნაყოფოდ ჩაგვიარა, ხვედრს ფულს, როგორც დაპირებული გვქონდა, ხელისმომწერთ უკანვე დაუბრუნებთ.

რედ. ᲟᲣᲠ. „ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ“.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 29 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ.

არა ერთხელ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა ოქტომბრისტების ორპოფობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი შემთხვევები შემდეგშიაც ბლომად მოგვეცემა. როდესაც საკონსტიტუციო კრიზისმა თავი იჩინა, ოქტომბრისტებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს. სტოლიპინის მოქმედებაში კონსტიტუციონურ პრინციპების დარღვევა დაინახეს. პროტესტის ხმა ისეთი იყო, რანაირსაც ოქტომბრისტები ᲩᲕᲔᲣᲚᲜᲘ არ არიან, მაგრამ ამ ხმამ ბოლოს თვით ოქტომბრისტებიც შეაკრთო. თვითონვე შეეშინდათ თავიანთ პროტესტისა და კონფლიქტის „მოწესრიგება“ განიზრახეს. ამისათვის საჭირო იყო, რომ საკითხი თავმჯდომარის არჩევისა უკან დახევის მომასწავებელი ყოფილიყო. ოქტომბრისტებმაც თავმჯდომარედ როძიანკო აირჩიეს. ფრიად საყურადღებო პირობებში მოხდა როძიანკოს არჩევა. როძიანკო ოქტომბრისტია. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს მემარჯვენე ოქტომბრისტებმა და ნაციონალისტებმა, მემარცხენე ოქტომბრისტებმა კი ნაციონალიატს ვოლკონსკის მისცეს ხმა. ნაციონალისტები ოქტომბრისტს აძლევენ ხმას, ოქტომბრისტები—ნაციონალისტს. საიდან წარმოსდგება ეს წინააღმდეგობა? ამაზე კარგს ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ, სხვათა შორის, „რუსკ. ვედ.“-იც.

ალექსეენკოს, ვოლკონსკისა და როძიანკოს არჩევა თავმჯდომარის თანამდებობაზე მომასწავებელი იქნებოდა იმისა, თუ რანაირს დამოკიდებულებას დაიჭერდა სათათბიროს ცენტრი მთავრობასთან. ალექსეენკოს არჩევა, რომელიც მხოლოდ ოპოზიციის დახმარებით მოხერხდებოდა, სათათბიროს ცენტრს ოპოზიციას დაუკავშირდება. ეს ერთის მხრით არც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოეწონებოდა, თუ ოქტომბრისტებისთვისაც შეუძლებელი გახდებოდა უკან დახევა. ვოლკონსკის არჩევა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ამ არჩევით ოქტომბრისტები თავის უძლურებას დაამტკიცებდნენ. ცხადი გახდებოდა ისიც, რომ ოქტომბრისტები ბურთს და მოედანს ნაციონალისტებს უტოვებენ. ეს სამინისტროსთან სამუდამო კონფლიქტის ჩამოგდების მომასწავებელი იქნებოდა, და ასეთი კონფლიქტი კი ოქტომბრისტებისათვის სასურველი არ იყო. ერთად-ერთი გზა იყო რო-

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲡᲢᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ
ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ
ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ
ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ

ძიანკოს არჩევა. როძიანკოს არჩევით ოქტომბრისტებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი დაუსრულებელ ორპოფობაში არიან. ეს პირველი ნაბიჯი იყო უკან დახევისა; იმედია, კომპრომისებს შეჩვეული პარტია „მთავრობის უკანასკნელ განკარგულებისა“ მეორე ნაბიჯსაც გადადგამს.

ქართული პრესა

ქართულ ჟურნალ-გაზეთობას კიდევ ერთი გამოცემა მიემატა ქუთაითური „კოლხიდა“. ქუთაისის გუბერნია მთლად ქართველებითაა დასახლებული, და აქამდის არც ერთი ქართული გაზეთი არა ჰქონიათ, რუსული გაზეთი კი წარა-მარა ჩნდებოდა, და ერთი ხომ დღესაც გამოდის. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით ახალს გამოცემას, რომელიც, უეჭველია, ქუთაისის ქართველ ინტელიგენციას შემოიკრებს თავის გარშემო. გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს პირველ ნომრის მეთაურს, რომელშიც ამ გაზეთის „მრწამსია“ გამოთქმული.

„ეტნოგრაფიულ ერთობასთან ერთად საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს თავისი კერძო, თავისებური ინტერესებიცა აქვს. ჩვენი ორგანო, რომელიც დასავლეთ საქართველოს დედაქალაქში გამოდის, უპირველესად ყოველისა ადგილობრივი ინტერესების ამწონ-დამწონი იქნება. ამ ინტერესობის გათვალისწინების დროს კი ჩვენ იმას გამოვექომაგებით და დავიცავთ, რასაც საერთო-საკვეყნო სარგებლობა გვიკარნახებს. პირად ინტერესებზე საზოგადოებრივ საქმეთა წარმოების სისტემას ჩვენში ძალზე აქვს ფესვები გადგმული. აი, ამ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება ჩვენი გაზეთის ერთი უმთავრესი მიზანთაგანი“.

მაგრამ გაზეთი ამითაც არა კმაყოფილდება. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ქუთაისის გაზეთში საერთო ქართული საკითხებიც იქმნას განხილული.

„აქ კი,—სწერს „კოლხიდა“,—ჩვენს მიზანსა და მისწრაფებას ასე განსაზღვრავთ. ქართველ ერს ბევრი რამ აკლია, მაგრამ უმთავრესად კი ის, რითაც ერი ერობს, რითაც ერი განათლებულ კაცობრიობის წევრად ხდება. ჩვენ მოგახსენებთ კულტურაზე, რომელზედაც ლაპარაკი, ფიქრი, კამათი გვესაჭიროება ნამეტურ ჩვენ, ვინაიდან აქ ერთობ სუსტნი ვართ, რომ მეტი არა ვსთქვათ. ღრმათა გვწამს, რომ კულტურული წარმატება ჩვენ ეროვნულადაც გაგვამაგრებს, რომ კულტურა ერთად-ერთი უებარი საშუალებაა ერის სიცოცხლის დაცვისა, თანამედროვე გამწვავებულ ურთიერთობაში თუ ვინმე ანგარიშს უწევს, მხოლოდ იმდენთ, რამდენათაც ამ უკანასკნელს კულტურული ძალა მოსდევს.“

კულტურულ საკითხების გარკვევის დროს გაზეთს შეუძლებლად მიაჩნია ეროვნულ სხვა და სხვაობის დავიწყება.

„ყველასთვის ერთს შაბლონს, ერთს საზომს კულტურული საქმეების გათვალისწინების დროს ჩვენ უარვყოფთ. ყოველი ზომა, ყოველი ნაბიჯი ამ სფერაში ამ სხვა და სხვაობასთან შეფარდებას თხოულობს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ეროვნული სხვა და სხვაობა მოსასპობი იყოს, როგორც მავნე რამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირიქით, ამ სხვა-და-სხვაობას დავიცავთ მუდამ, რადგან, ჩვენის შეხედულებით, ეროვნული თავისებურება ისე, როგორც რწმენათა სხვა და სხვაობა, საერთო საკაცობრიო პროგრესის ხელის შემწყობია“.

ასეთია აზრი ახალ გაზეთისა. თანდათან იგი, უფრო მრავალმხრივ გამოიჩენს თავის შეხედულებას, და მაშინ ჩვენც არსებითად შევეხებით მას. დღეს-დღეობით კი კვლავ ვესურვებთ წარმატებას და წინ-მსვლელობას მწერლობის ეკლიან ასპარეზზე.

* * *

გაზეთი „თემი“ მწუხარებით აღნიშნავს, ჩვენში შეუფერებელ პირობებში სწარმოებს პოლემიკაო. თუ ეს მისთვის სამწუხაროა, თვითონ მან არ უნდა შეუწყოს ხელი ამ შეუფერებელ პოლემიკის განვითარებას. „თემი“ კი წინააღმდეგ იქცევა. საბუთი თუ გნებავთ, აი საბუთიც. „თემი“ სწერს:

„არჩილ ჯაჯანაშვილის ორგანომ კიდევ გვიწყალობა ყურადღება. ახლა სხვა მხრიდან მოგვიარა, გვიწუნებს პოზიციას თელავის არჩევნების განხილვის საქმეში. ეტყობა „შაკავკაზ. რეჩ“-ის „პეტრონიუსს“ დაფნის გვირგვინმა წაახალისა. ჩვენი მოწინააღმდეგე გვირისხდება, რად ავალაპარაკეთ ბ. არტემიუსი „თემი“-ს ფურცლებზე. ჩვენ დაუთმეთ ადგილი ბ. არტემიუსის წერილს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიმართულებით ორთოდოქსი მარქსისტია იმიტომ... და სხვა და სხვა.

როდის იყო, რომ „სახალხო გაზეთმა“ უსაყვედურა „თემს“, ბ-ნ არტემიუსის წერილს რად დაუთმე ადგილიო, ეს მხოლოდ ალაჰმა უწყის! არც ერთი ამნაირი საყვედური ჩვენს გაზეთს არ გამოუთქვამს, და არც გამოსთქვამს, ვინაიდან ძალიან ნაკლებად ეინტერესება, ვის დაუთმობს გრ. დიასამიძის გაზეთი ადგილს და ვის არა. „სახალხო გაზეთმა“ ძალიან კარგად იცის, რომ გაზეთი „თემი“ ის აუზია, რომელშიაც ყოველ-ნაირ ჯურის ნაკადი გროვდება, იმისდამიუხედავად, მღვრიეა ეს ნაკადი, თუ წმინდა,

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ყოველს ჩვენს შენიშვნას გაზეთი „თემი“ რაღაც ავადმყოფურის აღშფოთებითა ხვდება, თითქოს „თემმან“ კამათი თავის თავად რაღაც დანაშაულობა იყვეს. თელავის არჩევნების გამო „თემმა“ განსაზღვრული პოზიცია დაიჭირა. უარჰყო ჩვენი შეხედულება და მიემხრო იმ მიმართულებას, რომელიც მარქსისტულ თეორიას ემყარება, თუმცა თვითონ მარქსისტულ მსოფლ-მხედველობას არ იზიარებს. ამ გარემოებამ ჩვენ დაგვაფიქრა და მოვსთხოვეთ, უფრო გარკვევით აეხსნა, თუ რა თვალსაზრისით უცქერის იგი ეროვნულ საკითხს საზოგადოდ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობას—კერძოდ. ვეკითხებით „თემი“-ს სწორ-უპოვარ ხელმძღვანელს, განა ეს დანაშაულობაა? და თუ დანაშაულობა არ არის, არა სჯობდა, ბოლმით სავსე წერილის გამოცხობას, დამჯდარი, დასაბუთებული პასუხი გაეცა? ბაგრამ არა, არსებითად პასუხის გაცემას იგი შემდეგ აპირებს, ეხლა კი სახელდახელოდ, ამნაირად სწყვეტავს სომეხ-ქართველთა ურთიერთობას.

„სომხის ბურჟუაზიასიან საჭიროა ბრძოლა,—სწერს „თემი“, — ბრძოლა ფრთხილი, წინდახედული. ეს ბრძოლა ნაციონალურ ნიადაგზე კი არ უნდა სწარმოებდეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურზე, თორემ ჩვენ ისე ვერაფერს გავაწყობთ“...

ჩვენს გაზეთში იბეჭდება ფელეტონები ბ. არ. ჯ—შვილისა, რომელშიაც მკითხველი რაოდენამდე ამის პასუხსაც იპოვის, მაგრამ მაინც საინტერესოა გაგება, კონკრეტულად რაში უნდა გამოიხატოს ეკონომიური ბრძოლა; საინტერესოა იმის გაგებაც, ეკონომიური ბრძოლა გამოიწვევს თუ არა ნაციონალურ ბრძოლასაც. ერთის სიტყვით საინტერესოა გაგება, ეკონომიური და ნაციონალური ბრძოლა რითიმე უკავშირდება ერთმანეთს თუ არა. ჩვენ გვგონია, რომ ეკონომიური ბრძოლა, რომელიც დღესაც არსებობს სომეხ-ქართველთა შორის, იგივე ნაციონალური ბრძოლაა, ყოველ შემთხვევაში, ერთი რგოლთაგანია ნაციონალურ ბრძოლისა. სოლიდარობა ნაციონალური მაშინ, როდესაც ეკონომიური ინტერესები დიამეტრალურად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ეს ისეთი ლოდიკური შეუსაბამობაა, რომ „თემი“-ს ხელმძღვანელსაც კი უნდა ესმოდეს...

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

მორიგ საკითხად სათემო ერობის შემომღებ კანონ-პროექტის მე-12 მუხლია, რომელიც განმარტავს, რომ სათემო ხმოსნებს სამის წლით ირჩევენ, სათემო საარჩევნო კრებათა ოთხის წყებისას: პირველ წყებაში ორთავ სქესის ამრჩეველნი შედიან, რომელთაც 1892 წ. საერობო დაწესებულების დებულების მე-16 მუხლის განსაზღვრულ უძრავ ქონების მეხუთედი აქვთ; მეორე წყებაში—ვისაც აღნიშნულ ცენზის მეთხუთმეტე ნაწილზე ნაკლები არა აქვთ; მესამეში—ვისაც ამ ცენზის მეთხუთმეტე ნაწილზე ნაკლები აქვთ; მეოთხე წყებაში—საზოგადოებათა და საზოგადო მიწის მფლობელთა რწმუნებულნი შედიან.

ზერჟინსკი ამომრჩევლების ქონების მიხედვით დანაწილებისა და ქალთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგია. საარჩევნო ცენზად მეორმოცე ნაწილიც საკმაოდ მიაჩნია.

ზაგიშა ქალთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგია.

ბუაროვი პროგრესისტთა სახელით თხოულობს მეორე და მესამე წყება შეაერთონ და ამრჩეველთა მხოლოდ სამი წყება იყოს. ორატორი ქალთა საარჩევნო უფლების მომხრეა.

ბობინსკეიჩი, სოკოლოვი მეორე, ბარანტინსკი და ისკრიცკი კურიალურ სისტემას ემხრობიან.

ტანეოვი თხოულობს, რომ საარჩევნო ცენზის მინიმუმი სრულ ცენზის მეთხუთმეტედი დაწესდეს.

შინკარევი სიამოვნებით ეგებება ქალთა საარჩევნო უფლებას და გადრით წინააღმდეგია ამრჩეველთა დანაწილებისა, რომელიც სოციალურ განსხვავებას შეჰქმნის, რასაც არავითარი ნიადაგი არა აქვსო.

კრეშეტოვი შრომის ჯგუფის სახელით პირდაპირსა და ფარულ კენჭის ყრას თხოულობს.

ფოკინი ნაციონალისტ-გლეხთა სახელით წინააღმდეგია, ქალებს სათემო თვითმმართველობაში რაიმე თანამდებობაზე ირჩევდნენ.

მარკოვი მეორეს აზრით, პროექტი მრავალ მილიონიან რუს-გლეხკაცობის ინტერესთა წინააღმდეგაა მიმართული; თემი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც დღესა, წოდებრივი, გლეხური; კომისიის კურიები თემიდან გლეხობას გასდევნის და ნაძირალებით გაავსებს. დასავლეთის გამოცდილება ადასტურებს, რომ არავითარი თანასწორი საიდუმლო არჩევნები არ არსებობს, არის მხოლოდ მოტყუება (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ბობინსკეიჩის აზრით, კურიალური სისტემა პირადებით ხალხის ინტერესთა წინააღმდეგაა მიმართული. ორატორი ქალთა საარჩევნო უფლებას ემხრობა, პროლეტარიმუშა-ქალებს მოუწოდებს, პოლიტიკური პარტია შეჰქმენით და სრული პოლიტიკურ-ეკონომიურ განთავისუფლებისათვის იბრძოლეთო.

ტიმაშკინი საარჩევნო ცენზის შემცირებას თხოულობს.

შინკარევი საქმეთა მინისტრის ამხანაგი დეკოშინი. კურიალური საარჩევნო წესი სათემო ერობაში ჯგუფთა განცალკევებას გამოიწვევს და შუღლს დაჰბადავს. მთავრობა მხოლოდ იმ განსაზღვრით მიემხრობა კურიალურ სისტემას, რომ პირველს წყებაში საერობო ცენზის მქონეთა ნახევარზე ნაკლები არ მოჰყვება, ხოლო სხვა კურიებზე შესაფერად გადიდეს ცენზი. სათემო კრებაზე ქალთა მონაწილეობა მთავრობას სასურველად არ მიაჩნია, ასეთი ნაბიჯი წინდაუხედაობაა, იგი გლეხკაცობის უმრავლესობის თვალში გაუგებარი და უცნაური ახალი რამ იქნება.

შინკარევი მარკოვის დღევანდელს ნათქვამსა და მის მიერ მოსკოვში მომხდარ ერობის მოღვაწეთა კრებაზე ნათქვამს ადარებს და ამტკიცებს, რომ სწორედ თვითონ მარკოვი მიჰმართავს ხოლმე სიცრუესა და გაიძვერობას და არა ოპოზიცია, რომელსაც მარკოვი ამგვარ ცილსა სწამებს. (მარცხნივ ტაშის ცემა). მინისტრის ამხანაგის პასუხად შინგარევი ამტკიცებს, რომ ინტერესები და აზრ-შეხედულობა ქონებრივ ცენზის მიხედვით როდი განისაზღვრება; მხოლოდ ხელოვნურად შეგნებული დაცალკევება ანაწილებს წვრილ მიწის მესაკუთრეთა ელემენტს, თორემ იგი, მთლიანად აღებული არსებითად ერთგვარობას წარმოადგენს.

მარკოვი მეორე ამტკიცებს, რომ 50 წლის წინედ რუსეთის გლეხობას არც ერთი დესეტინა მიწა არ გააჩნდა, დღეს კი 150 მილიონი დესეტინა აქვს, მაშინ როდესაც თავადაზნაურობას მხოლოდ 50 მილ. დესეტინა ლა შერჩაო. უმიწოდ რჩება ხალხი, სადაც კონსტიტუციამ და პარლამენტარიზმა ფეხი მოიკიდა, მაშასადამე კონსტიტუცია და პარლამენტარიზმი მემამულე გლეხთა მტერი ყოფილა, თვითმპყრობელობა კი, რომელიც გლეხობას მიწებს ანიჭებს—ხალხის მოკეთე. შინგარევის პასუხად მარკოვი აცხადებს, არავინ მომტყუებიაო. შინგარევის შედარებანი სიმართლეს ეწინააღმდეგება; კადეტების გაიძვერად და მატყუარად წოდება ლანძღვა კი არა, მათის მოქმედების დამახასიათებელი სიტყვებია (მარჯვნივ ტაშის ცემა).

თ-დი გოლიცინი ქალთა საარჩევნო უფლების გულმოდგინე მომხრეა და მინისტრის ამხანაგის აზრი ამ საგნის თაობაზე ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია, რადგანაც საერობო სამმართველოს რეფორმა საჭირკველია, რომელზედაც დანარჩენი რეფორმებიცაა გადაბმული.

საერთო კამათი დასრულდა.

ამ მუხლს კომისიის რედაქციით და ტიმოშკინის შესწორებით (საარჩევნო ცენზის შემცირება) ღებულობენ.

სხვა შესწორებანი უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს იქნება.

სახელმწიფო საბჭო

26 მარტის კრება.

აკიმოვი თავმჯდომარეობს. კრების პირველი ნაწილი ხალხის დაუსწრებლად სწარმოებს. კრებამ მიიღო კანონ-პროექტები, რომლის ძალითაც, ომიანობის დროს, ხალხს ევალება ჯარებს მუშა საქონელი და ურმები მიაშველოს. შემდეგ კრებაზე გარეშენიც შეუშვეს. თავმჯომარემ ახალ-წევრ ვოეგოლოვს მიულოცა. წინანსწარ განხილვისათვის კომისიას გადაეცა რამდენიმე კანონ-პროექტი: საყოველთაო სწავლის შემოღების და სავაჭრო დროს შესახებ.

ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათი გაიმართა.

მომხსენებლად ტიმირიაზევი გამოდის (ნაცვლად ავად-მყოფ პიხნოსი).

ტიმირიაზევმა განაცხადა, ხარჯების საქმე ძალიან გაჭოსწორდა. კულტურულ საქმეებზე გადადებულმა თანხამ 37% იმატა, დანარჩენმა 7%; მტრის მოსაგერებლად გადადებულმა თანხამ 1%-და 15-დის აიწია. 1910 წ. სათათბიროსა და სამინისტროს შუა უთანხმოება 50 მილიონ მანეთის თაობაზე იყო, ახლა კი 5 მილიონის თაობაზეა. საკონსტიტუციო პიუჯეტზე მუშაობამ იკლო და დარჩენილ ძალებს სხვა რამეზე მოვახმარებთო. რუსეთის ეკონომიური ცხოვრება გაიზარდა: დისკონტმა დაიწია, ფულმა იმატა. სათათბიროს ოქრო 2 მილიონამდის ავიდა. საგარეო ვაჭრობამ 2337 მილიონი დაატრიალა. ტიმირიაზევმა ბოლოს სთქვა, ის სოციალურ-ეკონომიური პროგრამა, რომელიც მთავრობას დიდი ხანია შედგენილი აქვს, დროა ცხოვრებაში შევიტანოთო.

ბეტრაგი. რკინის გზები ხალ ის კეთილ დღეობას ემსახურება, ხაზინას ზარალს არ აძლევს. მართალია, გზები ხშირად ზარალობენ, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ მათ ბევრი უფასო საქმე აქვთ დაკის. რებული. საბჭოს თამამად შეუძლიან ახალ გზებისათვის 164 მილიონი მანეთი გადასდოს. სესხი არ დასჭირდებაო.

კრება ცოტა ხნით შესწყდა.

შემდეგ ფინანსთა მინისტრმა საათნახევარი ილაპარაკა. მან განაცხადა, ხარჯთ-აღრიცხვა ზარალს არ გამოიწვევსო. ამას ხელს ის უწყობს, რომ სახელმწიფოს შემოსავალმა იმატა. საკანონმდებლო დაწესებულებათა ყაირათი უსიხარულოა, მით უმეტეს, რომ ამ ყაირ-იქით, ყოველი ლონისძიება ვიხმარეთ, რომ გამოგვეძებნა ნამდვილი სურათი ამ უთანხმოებისა. ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს თელავის არჩევნები შედეგი იყო სომეხთა შემაკავშირებელ იერიშისა. მაგრამ არც ის არის მართალი, თითქოს თელავში მხოლოდ ადგილობრივი ჯგუფობრივი ინტერესები არსებობდა და ნაციონალურს მომენტს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. თელავის არჩევნების შემდეგ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ერთი წერილი, რომელიც, ჩვენის აზრით, საკმაოდ ნათლად გამოჰხატავს ჩვენს აზრს ამ საგანზე. ამიტომ ჩვენს თავს ნებას მივცემთ და ცოტა ვრცლად მოვიყვანთ ამ წერილიდან ციტატას. „ყოველთვის, როდესაც კი ეროვნულს მომენტზე ჩამოვაგდებთ ხოლმ ელაპარაკს, სწერდა მაშინ ერთი ჩვენი თანამშრომელი, ერთსა და იმავე შაბლონურს, ტრაფარეტულ პასუხს გვაძლევენ: ეს ნაციონალისტების მიერ მოპორებული ამბავია, ნამდვილად ერთა შორის არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობსო. ვსთქვათ, დიდს სახელმწიფოთა ცხოვრებაში ეს მართლაც ასეა, ვსთქვათ, ბურჟუაზია ნაციონალიზმს იმიტომ ჰკიდებს ხელს, რომ „ძლევა-მოსილ პოლეტარიატის“ იერიშები თავიდან აიცილოს და დაარღვიოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა, რომელიც წალეკვას უპირებს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. ვსთქვათ, ყველა ეს მართალია, მაგრამ რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ საქციელს, რომელმაც პატარა საქართველოს მიყრუებულ მაზრის პატარა თელავში იჩინა თავი? რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თელავში სომხებმა, რომელთა ცხოვრებაც მჭიდროთაა დაკავშირებული ქართველთა ცხოვრებასთან, რომელნიც დღემდის მაინც ასე სჩანდა, ქართველებთან ერთად ერთის ჭირითა და ლხინით სცხოვრობდნენ, ასეთი უკიდურესობა გამოიჩინეს და ნათლად ანტაგონისტური პოზიცია დაიჭირეს ქართველებისადმი? რაღაც უმაღლეს პოლიტიკაზე ლაპარაკი აქ სულ მეტია. არც ეკონომიური ცხოვრებაა თელავში განვითარებული, რომ სომხების საქციელი „ბურჟუაზიის ხრიკებს“ მიეწეროს. თელავის ცხოვრება სადაა და მარტივი. ამიტომ ეჭვს გარეშეა, თელაველ სომხებს ამოძრავებდათ არა უმაღლესი პოლიტიკა, არა ბურჟუაზიული მისწრაფებანი, არამედ ნაციონალური ინსტინქტი. ჩვენ იმდენად არჩევნების შედეგი არ გვაინტერესებს, რამდენადაც ის, რომ ამ არჩევნებმა გაჩოამჟღავნა ნაციონალური ინსტინქტი თელაველ სომხებისა. თელაველმა სომხებმა გამოიჩინეს ეს ნაციონალური ინსტინქტი, ნაციონალური მოკერძება მიუხედავად იმისა, რომ თელავის პრიმიტიული ცხოვრება სრულიად არ უწყობს ხელს ნაციონალიზმს, როგორც გარკვეულ იდეიურ მოძრაობას. ეს ძალიან კარგად უნდა დააფასონ იმათ, ვინც ეროვნულ გრძნობათა ყოველ-გვარ გამოხატულებას მოუფიქრებლად ნაციონალიზმად ჰხატავს. ნაციონალიზმს, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში ესმით, თავისი ისტორია, და თუ გნებავთ, მეცნიერულად დასაბუთებული ისტორია აქვს. ის, რაც თელავში მოხდა, როგორც უკვე ვსთქვით, ნაციონალიზმი კი არ არის, ამ სიტყვის ევროპიულის მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ გამოხატულება ნაციონალურ ინსტიქტისა, რომელიც ყოველ ერში არსებობს და რომელსაც შორს-გამჭვრეტელმა საზოგადო მოღვაწემ და ჰრესამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს“..

ამ წერილის სტრიქონებიდანაც ნათლადა სჩანს, რომ თელაველ არჩევნებში ჩვენ დავინახეთ მხოლოდ გამომჟღავნება ნაციონალურ ინსტინქტისა, და არა ნაციონალიზმი, როგორც ეს ესმით საზოგადოდ დასავლეთ ევროპაში. გაზეთი „ახალი საქმე“-ც არ უარჰყოფს, რომ ნაციონალურმა ინსტინქტმა მართლაც იჩინა თავი, მხოლოდ ამ მოვლენას თავისებურად, „ახალ საქმისებურად“ უსწორდება. მართალია თელავის სომხებში ნაციონალიზმი იჩინა თავი, მაგრამ ჩვენ ეს არ მოგვწონსო. არ მოსწონთ! მორჩა და გათავდა. „თუ ვისმეს სურს გაიგოს,—სწერს „ახალი საქმე“,—თუ რას ვფიქრობთ თელაველ სომეხ ამომრჩევლების საქციელის შესახებ, ჩვენ მოგახსენებთ, რომ ასეთი მოქმედება დასაგმობია საერთოდ და კერძოდ ეს შემთხვევაც ისე, როგორც დასაგმობი იქნება, მაგალითად ბათუმის ქართველი ამომრჩევლები, თუ ისინი სომეხს მხოლოდ იმისთვის არ აირჩევენ, რომ ის სომეხია“.

ამას ჰქვიან საკითხის გამორკვევა! ჩვენს წინა სწარმოებს ინტენსიური მუშაობა მთელი ერისა, რომელსაც ცხადი ნაციონალური ელფერი ადევს. ეს ნაციონალური მოძრაობა სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა ადგილას იჩენს ხოლმე თავსა, და როდესაც ცხადი ჰხდება, რომ ცხოვრების კუნჭულში მიჭყლეტილები

გაუსწორებელი დოგმატიკოსები

(შემდეგი)

2.

თელავის არჩევნებმა და განსაკუთრებით კი არჩევნების შედეგმა, მართლაც, ძალიან დააინტერესა საზოგადოება. ამიტომ „ახალ საქმე“-ს ჰქონდა საბუთი უკანასკნელ კვირისათვის „თელავის კვირა“ დაერქვა. ის კი არ ვიცით, ჰქონდა თუ არა უფლება ისე ფუქსავატად მოჰქცეოდა ამ მოვლენას, როგორც მოექცა.

თელავის არჩევნების გამო გამოთქმული ჩვენი აზრი არც „ბათუმის მოამბე“-ს მოეწონა. საერთო კონცერტს არც გაზეთი „თემი“ ჩამორჩა, არც აცია არც აცხელა და პირდაპირ გვითხრა, თქვენ ნაციონალისტები ხართ, ერთა სოლიდარობისა არაფერი გწამთო. ამ ინტერ-ნაციონალისტურ კონცერტს ტონს „ახალი საქმე“ აძლევს და ამიტომ ჩვენც მხოლოდ მასზე შევჩერდებით.

ჩვენს განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს „ახალი საქმე“-ს საზოგადო მსჯელობა და თეორიული მოსაზრებანი, რომელნიც „ახალ საქმე“-ს მეცხრამეტე ნომრის მეთაურს უდევს საფუძვლად. გაუგებრობა ყოველთვის და ეხლაც იქიდან წარმოსდგება, რომ ეროვნულ ურთიერთობის გამორკვევის დროს ჩვენი მოწინააღმდეგენი ყალბის საზომითა ჰსარგებლობენ. ამის შესახებ ბევრჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი, მაგრამ, რადგანაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ერთსა და იმავე შეცდომას მრავალჯერ იმეორებენ, ჩვენც იძულებულნი ვხდებით მრავალჯერ დაუბრუნდეთ ამ შეცდომის მხილებას.

მაგრამ სანამ ამ საზოგადო მოსაზრებებს განვიხილავდეთ, ჩვენს თავს ნებას მივცემთ და შევეხებით იმ აზრებს, რომელნიც პირდაპირ თელავის არჩევნებს შეეხება.

თელავის არჩევნები განსაკუთრებით თავის ეფექტითაა საინტერესო. ის, რაც თელავში მოხდა, ხდება ყველა ქალაქში, ხოლო სხვა და სხვა მასშტაბით. თელავის არჩევნებმა კი ცხადჰყო ის უთანხმოება, რომელიც რეალურად სომეხ-ქართველთა შორის არსებობს. რა ღირსებისაა ეს უთანხმოება, რამ დაჰბადა იგი და რა ფასი აქვს, ამაზე მაშინ გვექნება მსჯელობა, როდესაც „ახალ საქმე“-ში გამოთქმულ საზოგადო დებულებებს შევეხებით. ჩვენ ეს უთანხმოება არ გაგვიაზვიადებია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

ჩვენ ეს ფაქტი ისეთივე ბუნებრივ მოვლენად ჩავთვალეთ, როგორიც ეროვნულ ურთიერთობა ზოგადად. ეროვნულ ურთიერთობა ეს ერთ-ერთი ფაქტია, ეროვნული

რათას მეოხებით განათლებაზე ეხლა მთელი ხარჯების 15%-ა გადადებული. ამ მხრით განათლებულ ქვეყნებს დავეწიენითო.

27 მარტის კრება

აკიმოვი თავმჯდომარეობს. კამათი ისევ ხარჯთ-აღწერას ეხება.

ოზოროვი. სამინისტრო ქვეყნის კეთილ-დღეობას იმედიანის თვალით უცქერის. მისი ანგარიში, სინამდვილეს არ შეეფერება. მიწათ-მომწყობის უფროსის ანგარიშებიდანა სჩანს, რომ რუსეთიდან პური გატანა შესაძლებელი მაღე მოისპოს, რადგანაც პური რუსეთსაც აღარა ჰყოფნის. თუ კი რუსეთის მეურნეობის საფუძველი დაიშლება, მაშინ რუსეთის მდგომარეობა როგორი იქნება? რუსეთ-გერმანიის შედარება, რომელსაც მინისტრი ახდენს, შემცდარია, რადგანაც იგი შეუდარებელს ადარებს. მართალია, ამ ბოლო ხანს შემნახველ კასებში ფულის შეტანამ იმატა, მაგრამ ეს ფული ხალხს იმიტომ კი არ შეაქვს, რომ იგი მისოვის მეტია. სხვაც ბევრი ისეთი ნიშნებია, რომ რუსეთს ცუდ რასმეს უქადის. აღარ გადის ტყავი, ბამბა, მატყლი და სხვა. მეფუტკრეობა იმდენად დაეცა, რომ სანთლის ქარხნები ფიქას საზღვარგარეთიდან იწერენ. დროა შინაური პოლიტიკა შეიცვალოს და მეურნეობის აღორძინებაზე ვიზრუნოთ.

ფინანსთა მინისტრმა ოზორიოვის დებულებანი დაარღვია. მან ციფრები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი ეკონომიურ წინ-სვლის გზაზე სდგასო. ხალხის რიცხვმა იმატა, მეტ სანოვაგესა ხმარობს, იმატა აგრედვე სამეურნეო ნაწარმოებმა: თუჯმა, ბამბამ, ხე-ტყემ და სხვა. ეს ზრდა ორ უკანასკნელ მოსავლის მეოხებით კი არ მოხდა, იგი უკვე დიდი ხანია დაიწყო.

ოზოროვმა მინისტრს ჰასუხი გასცა.

ამის შემდეგ კამათი დასრულდა და საბჭო საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. საფინანსო კომისიამ სათათბიროს მიერ გადადებულ ფულს 3,366,669 მან. მიუმატა და სამინისტროს ხარჯები 110,220,696 მანეთამდე აიყვანა. კომისიის აზრით, საზღვაო ჯარების შემცირება საჭიროა, რადგანაც ახლანდელი ჯარები იმდენია, რომ გემთა რიცხვს არ შეეფერება. ხარჯების შემცირება საჭიროა, ისე, რომ არც ფლოტს დაუშავდეს რამე და გადადებული ფულიც გაძლიერდეს. ის 28 მილიონი, რომელიც ოთხი გემის ასაშენებლად გადაიდო, ოთხ ნაწილად უნდა გაიყოს და სამინისტროს პირობით უნდა მიეცეს სესხად.

ზაზიანოვმა მინისტრს ჰასუხი გასცა.

ამის შემდეგ კამათი დასრულდა და საბჭო საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. საფინანსო კომისიამ სათათბიროს მიერ გადადებულ ფულს 3,366,669 მან. მიუმატა და სამინისტროს ხარჯები 110,220,696 მანეთამდე აიყვანა. კომისიის აზრით, საზღვაო ჯარების შემცირება საჭიროა, რადგანაც ახლანდელი ჯარები იმდენია, რომ გემთა რიცხვს არ შეეფერება. ხარჯების შემცირება საჭიროა, ისე, რომ არც ფლოტს დაუშავდეს რამე და გადადებული ფულიც გაძლიერდეს. ის 28 მილიონი, რომელიც ოთხი გემის ასაშენებლად გადაიდო, ოთხ ნაწილად უნდა გაიყოს და სამინისტროს პირობით უნდა მიეცეს სესხად.

ყოველთვის ქართველები არიან, „ახალი საქმის“ უებარი პუბლიცისტები კვეუბნებიან, ჩვენ ეს არ მოგვწონსო. პლატონიურ სურვილების გამოთქმა არა კმარა. საჭიროა, რომ არა სასურველ მოვლენას ბოლო მოეღოს. ამისათვის მოქმედების რაიმე პრაქტიკული გეგმაა საჭირო და არა გაკიცხვა-მოწონება ამა თუ იმ მოვლენისა. „ახალი საქმე“ სწორედ ამას გაურბის. იგი მხოლოდ იმას გაიძახის, რომ საჭიროა ერთა შორის სოლიდარობა დამყარდესო. არა გვგონია, რომ ამ შემთხვევაში იგი მომავალ სოლიდარობაზე ლაპარაკობდეს, იმ სოლიდარობაზე, რომელიც მომავალ, უკეთეს დროს დამყარდება. რა ფორმებში ჩამოყალიბდება ერთა შორის სოლიდარობა მომავალში, ეს სხვა საკითხია. ჩვენთვის ამ ჟამად ის არის საინტერესო, თუ როგორ უნდა დამყარდეს სოლიდარობა დღეს. უთანხმოება დღეს არსებობს და ამ უთანხმოების მოსასპობად დღესავე უნდა დამყარდეს სოლიდარობა, მაგრამ მაშინ გაუგებარი ხდება ერთი რამ. მოგეხსენებათ, ჩვენი მოწინააღმდეგეთა აზრით, ნამდვილად ერთა შორის არავითარი ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობს. სადაც ნაციონალური ბრძოლა

საზღვაო მინისტრმა განაცხადა, ზოგიერთი საყვედური სამინისტროსადმი სამართლიანია, მაგრამ ახლო მომავალში საქმე გამოსწორდება. ჯარების შემცირება კი შეუძლებელია. გადადებული ფული ტყუილად არ დახარჯულა. ეს აღლუმებმა დაამტკიცა. სახალხო განათლებაზე 71% იხარჯება. ეს იმის ნიშანია, რომ ნაღდი ფული, ქვეყნის საჭიროებისამებრ, გონივრულადაა განაწილებული. თუ ასე გაგრძელდა, უზარაზარ ხარჯთ-აღრიცხვები უფრო მუდმივი გახდება.

მინისტრი რუსეთის ეკონომიურ წინსვლას შეეხო და სთქვა, 1876 წ. (?) შემნახველ კასებში სულ 5 მილიონი იყო. 1908 წ. 1360 მილიონს აღემატება. ამ მხრით, მაშინ, გერმანიაზე ჩვენ 160 ჯერ სუსტნი ვიყავით. ეხლა კი კასებში იმდენი ფული მოგროვდა, რომ მხოლოდ 4 ჯერა ვართ სუსტნი. რაც თავისუფალი ფული დაგვრჩება, ის შავი დღისთვის უნდა შევინახოთ.

მინისტრმა სურვილი გამოსთქვა, ომის შემდეგ გამოცემული სერიები მომავალ წლისთვის 150 მილიონამდე მაინც განაღდდეს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, რუსეთში უცხოელთა დაუხმარებლივ შეუძლებელია. საჭიროა რკინისგზათა გამრავლება, მაგრამ მხოლოდ ხაზინის ხარჯით კი არა, არამედ დახმარებით (?). ომისა და არეულობების შემდეგ, რუსეთის ხაზინა გაიზარდა. ეს კი ხალხის კეთილდღეობის თავდებია.

ვასილიევი. ხალხის კეთილდღეობას მხოლოდ სახალხო განათლება გამოიწვევს. საჭიროა აგრედვე რუსეთში ეგრედ-წოდებული სოციალური ბიუჯეტი განვითარდეს. საფრანგეთი ამ საქმეზე 120 მილიონ ფრანკსა ჰხარჯავს და მოხუცებულთ პენსიებს უნიშნავს. განახლებული საკანონმდებლო წეს-წყობილება საბიუჯეტო საქმეს გამოასწორებს, მაგრამ კანონი ისეთი მექანიზმი არ არის, რომ ხარჯებს კანტროლი გაუწიოს. სახელმწიფო კანტროლი რეფორმასა ჰსაჭიროებს.

როტკინდი ამტკიცებს, რომ მომავალ 10 წელს, სახელმწიფო უსესხოდ და ბაჟების დაუწესებლივ ან არსებულთა გაუდიდებლივ ადვილად გასძლებს, მაგრამ, საბაჟო სისტემა კი ძირითად რეფორმას ითხოვს, რადგანაც ხალხი ბაჟებით შეწუხებულია.

კრება 27 მარტისათვის გადაიდო.

ახალი აქბები

ტფილისი

◆ იურევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ პროტოჩენკოს და პროფ. მანტეიფელის შუამდგომლობით არეულობის გამო დათხოვნილი 17 ქართველი სტუდენტი უნივერსიტეტში ისევ მიიღეს.

◆ გუშინდამ ბ. ფ.—ს სახლში სტუმრად ყოფილა რამდენიმე ახალგაზდა. აქ მათ თავს დასხმია პოლიცია და ყველანი დაუპატიმრებია. დაპატიმრებულია 7 ქალი და 8 კაცი; მათ შორის ს. კაკაბაძე, ი. გველესიანი და სხვანი. გუშინვე ღამის 4 საათამდე ბევრ ალაგას იყო ჩხრეკა.

◆ აღდგომის მეორე დღეს ბ. ო. შმერლინგის მეთაურობით სამხატვრო სკოლის მოწაფეთა ექსკურსია მიემგზავრება პეტერბურგს სურათების გაზაფხულის გამოფენის სანახავად.

◆ როგორც თავის დროზე ვწერდით, ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, თავ. ჩერქეზიშვილის სახელობაზე 4 სტიპენდია დაარსოს ლარიბ ჟურნალისტთა შვილებისათვის. ეს დადგენილება ტფ. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა და დაუყოვნებლივ ძალაში შევა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერაც მოწონების შემდეგ.

◆ „ლისტოკ-კაპეიკა“-ს რედაქტორი ვ. შავლაძე უკვე გაანთავისუფლეს 100 მან. ჯარიმის გადახდის შემდეგ.

◆ 25 მარტს თავის დახრჩობის განზრახვით ტფილისში მტკვარში გადავარდა მარიამ უსტინეს ასული ივანოვისა, რომელსაც დროზე მიეშველნენ და სიკვდილს გადაარჩინეს.

◆ 26 მარტს კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ალექსი ელისეევმა, რომელიც ამავ დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ დღეს, 29 მარტს, საღამოს 8½ საათისთვის სამკურნალო საზოგადოების წევრთა საერთო კრებაა დანიშნული რამდენისამე მოხსენების მოსასმენად.

◆ დიდუბის მოედანზე ცხენების ჯირითი 13 აპრილს დაიწყება და ერთს კვირას გასტანს.

◆ 31 მარტს ქალაქ კავკავის არსებობის 50 წლის თავი სრულდება. კავკავის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ეს დღე იდღესასწაულოს.

◆ 26 მარტს ყარსიდან ტფილისში მომავალმა საქონლის მატარებელმა ანტონოვის ქუჩის გადასახვევთან გასჭყლიტა 70 წლის მოხუცი ომან ბავლეს ძე დვალიშვილი.

◆ სახელმწიფო საბჭომ მოიწონა სახელმწიფო სათათბიროს კანონპროექტი კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ხაზინიდან 1912 და 1913 წლებში წელიწადში 136,409 მანეთისა და საერობო თანხიდან 114,103 მან. გადადების შესახებ.

◆ ამ დღეებში კრება ჰქონდა შრომის სახლის „მეგუ“-ს გამგეობას, რომელმაც დაადგინა, მაისის პირველ რიცხვებში ბაზრობა გამართოს საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. სხვათა შორის, გამოფენილ იქმნება საზოგადოების სახელოსნოს მოსწავლე ქალთა ნამუშევარნი.

◆ 30 მარტს სამკურნალო საზოგადოების სადგომში კრება ექმნება ბუნების მოყვარულთა საზოგადოებას. კრებაზე, სხვათა შორის, მოხსენებას წაიკითხავენ ა. ა. ჟუკოვსკი და ა. ბ. ევანგულოვი სვანეთში მოგზაურობიდან.

◆ 27 მარტს კრება ჰქოსდა ტფ. ჟურნალისთა საზოგადოების ახალ გამგეობას. გამგეობამ მსჯელობა იქონია საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე და დაადგინა, 3 აპრილს ლექცია გამართოს. წაიკითხავს ს. მ. არწრუნი შემდეგს თემაზე: „მოქალაქობრივი ვალდებულება მოწმად ყოფნისა“ (სასამართლოს პროცესი 1876 წელს ტფილისში ნინო ანდრეევის მოკვლის საქმისა).

◆ ბოდი

რემოებას ჯერჯერობენ უურადღებას მიაქცევს ზუგდიდის საზოგადოება.

გვატი.

—

დ. ყვირილა. სწორედ დიდ სასიხარულოდ უნდ ბაითგადოს ყველაფერ-ადგილობრივ საქალაქო სკოლების შეერთება. წელიწადი სრულდება მას-აქეთ, რაც ზემოხსენებულ სკოლებს შუა დიდი განხეთქილება მოხდა. თუ რა ზომამდის მიდიოდა უთანხმოება, ამის შესახებ არა მსურს რიმე განგიმეორო, რადგან ვინც კი თვალს ადევნებდა შარშან ადგილობრივ რუსულ-ქართულ ყურნალ-გაზეთებს, საკმაოდ ექმნებოთ წარმოდგენილი მიზეზები მათ შორის მომხდარ უთანხმოებისა და მისი შედეგიც. სასიამოვნო მოგდენა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ შეერთებით ყველა არ დარჩენილა კმაყოფილი.

„Листокъ-копеика"-ს მე № 64 მოთავსებული წერილი ყვირილიდან, რომლის ავტორი სხვათა შორის ეხება ადგილობრივ საქალაქო სკოლების შეერთებას. წერილი ორ-აზროვანია და ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თითქოს ავტორს კიდეც უხარიან ეს შეერთება და არც უხარიან. უთანხმოებას ბოდო მოედო, და კვლავ ატეხა ამ კამათისა არავის არ ჩაეთვლება საკადრის საქციელად. სკოლების შეერთება ძალიან კარგს საქმედ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მარტო შეერთება არა კმარა. საჭიროა სხვათაშორისაც გაუმჯობესდეს საქმე. საპატიებელი არ არის, მაგალითად, რომ სასწავლებელში ორა სამდე მოსწავლეა, თითქმის უველანი ქართველები არიან, მესამე და მეოთხე კლასებიდან კი ქართული ენა განდეგნილია. ნუ თუ დღეს კიდევ საჭიროა დაბრკოლება იმაზე, რომ სამშობლო ენის ტოდნა ბავშვებისთვის აუცილებლად საჭიროა?

ვ.

უცხოეთი

ინგლისი.

ამას წინედ გწერდით, რომ ინკლისელმა სუფრაჟისტკებმა ხალხთ-ადწერის ჩაფშვა მოინდომეს. ეხლა დონდონიდან ცნობა მოვიდა, რომ ქალებს განზრახვა ჯერ აუხდათ. დამის წარმოდგენისათვის თეატრი არ დაუთმეს; გამართულ მიტინგზე ტოტა სალი მივიდა, ისიც დაცინვით; სკეტინ-რინკის კარები, სადაც კონცერტი უნდა გამართულიეო, ბოდიცა